ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

N	ქონების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო წონა (კგ)	აუდიტორული შეფასება (ლარი)	ბიჯი 10%	,,ბე“ 10%	შენიშვნა
1	ლითონის ავზი (პ/მაისის საბავშვო ბაღში)	1980	1200	180	18	18	საბალანსო ღირებულება
2	წყლის ავზი(ზუბის სასოფლო კლუბში)	1980	4000	480	48	48	აღნიშნულ
3	ქ. ხობის N1 საბავშვო ბაღის კაპიტალ. რემონტის პერიოდში მიღებული მეორადი მასალები:	1975					ქონებებზე ცალკე არ არის აღრიცხული
	შეშა (კუბ.მ)		15	280	28	28	
	ჯართი		400	48	4,8	4,8	
4	მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა კოროლა	2008		1250	125	125	საბალანსო ნარჩ.ღირებულება 2652 ლარი

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 20 ივნისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო - 707017021, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ

აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ),,ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა , თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა